ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N 4

შეხვედრის ადგილი: ლანჩხუთი. სოფელ ნიგვზიანის მოსახლეობა

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 20. 06. 2023 წელი. 13:30 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ თავმჯდომარე - **გიორგი ხელაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი **ბესიკ ტაბიძე,** კომისიის წევრები: **ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე.** მერის წარმომადგენელი ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში **ირაკლი გუჯაბიძე,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ია ბარამიძე,** მოწვეული პირები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ“ საქართველოს მთავრობის N 239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კონსულტაცია გამართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან, ქუჩისათვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე** მიესალმა მოსახლეობას და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას დაეწერა ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატისა და საკრებულოს თავმჯდომარის **ბესიკ ტაბიძის** ინიციატივა, რომელიც ითხოვს, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ქუჩას ეწოდოს ამბროსი აფხაზავას სახელი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ და ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მოხარული იქნება, თუ ასეთი ღირსეული პიროვნების სახელი მიენიჭება ქუჩას, რასაც ის გულწრფელად უჭერს მხარს.

გიორგი ხელაძემ შეხვედრის მონაწილეებს ამბროსი აფხაზავას შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები გააცნო და აღნიშნა, იგი რომ დაიბადა 1911 წლის 10 აპრილს სოფელ ნიგვზიანში. 1925 წელს დაამთავრა ნიგვზიანის 7-წლედი, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ქ. ფოთის მელიორაციის ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1929 წელს. 1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სრული კურსი მათემატიკის სპეციალობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი შეუდგა მუშაობას ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად და 1948

წლის ჩათვლით იყო რაიონის წარჩინებული პედაგოგი. ამბროსი აფხაზავამ დიდი წვლილი შეიტანა სოფლის ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეში, კერძოდ, არ დარჩენილა სოფელში მცხოვრები ოჯახი, საიდანაც დამამთავრებელი კლასის მოსწავლე არ მოემზადებინოს მათემატიკაში, ყოველგვარი ანგარების გარეშე, რითაც ის სოფლის მოსახლეობის უდიდეს პატივისცემას იმსახურებდა. მას მიღებული აქვს მედლები „ზურგში მამაცობისათვის", ასევე სიგელი „ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის". იგი გარდაიცვალა 1987 წელს.

შეხვედრაზე თავისი პოზიცია დააფიქსირა მერის წარმომადგენელმა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში **ირაკლი გუჯაბიძემ** და აღნიშნა, რომ მისასალმებელია ასეთი ადამიანების სახელის უკვდავყოფა.

შეხვედრის მონაწილეთაგან აზრი გამოთქვეს: ხათუნა აფხაზავამ, მანანა მამულაშვილმა, ამირან აფხაზავამ და ნანა კვიჭიძემ. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ მოხარული იქნებიან თუ დროულად მოხდება ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭება, რადგანაც, თუ ვინმეს ეკუთვნის მადლობა, ეკუთვნის ამბროსი აფხაზავას მისი პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობიდან გამომდინარე. შეხვედრის მონაწილეებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ ამბროსი აფხაზავა იყო საქართველოში ცნობილი მათემატიკოსი და არაერთი ღირსეული პიროვნება გაზარდა, რასაც შეხვედრის ყველა მონაწილემ დაუჭირა მხარი.

გიორგი ხელაძემ მადლობა გადაუხადა მოსახლეობას მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ იმედი აქვს, დროულად დასრულდება პროცედურები, რათა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ქუჩას მიენიჭოს ამბროსი აფხაზავას სახელი.

პატივისცემით,

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის" კომისიის თავმჯდომარე.